

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომის

ოქმი №1

23.02.2018 წელი

ქ. ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

სალომე ღონდაძე, თამარ მუმლაძე, აკაკი მჭედლიშვილი, ნინო პოპიაშვილი, ივანე ხაჩიძე, ევა ლომთაძე, გელა თედევი, ამილ ნიაზოვი, ირმა სიყმაშვილი, მარიკა ლაბუჩიძე, ნინო გელაშვილი, მამუკა გორგაძე.

სახალხო დამცველის აპარატის საკონტაქტო პირი კახეთის რეგიონში- ევა გოგაშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- გიორგი ღამბაშიძე

დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების გაცნობა.
2. სამოქმედო გეგმის შემუშავება.

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარემ კარლო ჯამბურიამ მოკლედ მიმოიხილა გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება და წარმოადგინა შემდგომში საბჭოს წევრების თანამშრომლობის ფორმატი.

მოისმინეს: სამოქმედო გეგმის შემუშავება

დაადგინეს: საბჭომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმდინარე ეტაპზე ითვალისწინებს:

- ა) ინფორმაციის მოპოვებას სათანადო ინსტიტუციებიდან;
- ბ) საბჭოს წევრების ხელთ არსებული სხვადასხვა მასალების და გამოცდილების გაზიარებას;
- გ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ჩართვას გენდერული სტატისტიკის მოპოვების პროცესში;
- დ) საზოგადოების ინფორმირებულობას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას;
- ე) მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას.

გენდერული თანასწორობის საბჭოს
თავმჯდომარე:

გენდერული თანასწორობის საბჭოს
მდივანი:



/კარლო ჯამბურია/

/თამარ მუმლაძე/